ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**დადგენილება №210**

**2025 წლის 25 ივნისი**

**ქ. რუსთავი**

**„რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 თებერვლის №95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 თებერვლის №95 დადგენილების (www.matsne.gov.ge; 07/02/2019 წ.; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.160.016531) პირველი მუხლით დამტკიცებულ რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტებში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი** **ალექსანდრე ბერიძე**

**დანართი**

**რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტი**

| **რიგითი №** | **მარშრუტის დისლოკაციის ადგილი** | **მარშრუტის სქემა** |
|---|---|---|
| **1** | ნავთლუღის ქ. №6/2-ის მოპირდაპირედ | რუსთავის რკინიგზის სადგური, შ. რუსთაველის ქ.-მ. კოსტავას გამზირი, გმირთა მოედანი-ხალხთა მეგობრობის გამზირი-ჟ. შარტავას გამზირი-რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება);<br><br>**უკუმიმართულება:** რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება)-ჟ. შარტავას გამზირი-ხალხთა მეგობრობის გამზირი-გმირთა მოედანი-მ. კოსტავას გამზირი-ფიროსმანის ქ.-გ.ნიკოლაძის ქ.-ი. ჭავჭავაძის ქ.-დონეცკ მეტალურგების ქ.-შ. რუსთაველის ქ.-რუსთავის რკინიგზის სადგური. |
| **2** | ნავთლუღის ქ. №6/2-ის მოპირდაპირედ | გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორია-ხალხთა მეგობრობის გამზირი-ჟ. შარტავას გამზირი-რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება);<br><br>**უკუმიმართულება:** რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება)-ჟ. შარტავას გამზირი-ხალხთა მეგობრობის გამზირი-გმირთა მოედანის მიმდებარე ტერიტორია. |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| **3** | ნავთლუღის ქ. №6/2-ის მოპირდაპირედ | ჟ. შარტავას გამზირის №25-ის მიმდებარე ტერიტორია (რუსთავის გასასვლელი)-რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება);<br><br>**უკუმიმართულება:** რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება)-ჟ. შარტავას გამზირის №25-ის მიმდებარე ტერიტორია (რუსთავის შემოსასვლელი). |
| **4** | სპორტის სასახლე (26 მაისის მოედანი) (წრიული) | რუსთაველის ქუჩა (№28 მ/ტ)-კოსტავას გამზირი-მეგობრობის გამზირი-შარტავას გამზირი-რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება);<br><br>**უკუმიმართულებით**: რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება)-შარტავას გამზირი-მეგობრობის გამზირი-კოსტავას გამზირი-რუსთაველის ქუჩა (№28 მ/ტ) |
| **5** | მ/ს დიდუბე (წრიული) | შარტავას გამზირი №15-ის მ/ტ-რუსთავის გზატკეცილი -(ქვემო ფონიჭალის დასახლება);<br><br>**უკუმიმართულებით:** რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება)-შარტავას გამზირი №15-ის მ/ტ. |
| **6** | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი<br><br>(წრიული) | გაგარინის ქუჩა №12 (მეტალურგიული კომბინატი)-კოსტავას გამზირი-მეგობრობის გამზირი-შარტავას გამზირი-რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება);<br><br>**უკუმიმართულებით:** რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება) – შარტავას გამზირი-მეგობრობის გამზირი-კოსტავას გამზირი-გაგარინის ქუჩა №12 (მეტალურგიული კომბინატი). |
| **7** | რკინიგზის სადგური (წრიული) | რჩეულიშვილის ქუჩა №10ა-ს მ/ტ-მშვიდობის ქუჩა-აღმაშენებლის გამზირი-მე-12მკ/რ-ლეონიძის ქუჩა-ტაშკენტის ქუჩა-შარტავას გამზირი-რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება);<br><br>**უკუმიმართულებით:** რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება)-შარტავას გამზირი-ტაშკენტის ქუჩა-ლეონიძის ქუჩა-მე-12მკ/რ-აღმაშენებლის გამზირი-მშვიდობის ქუჩა-რჩეულიშვილის ქუჩა 10ა-ს მ/ტ. |

**შენიშვნა:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტები, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალი და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილები დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებით.